ბრძანება:**ბ40. 40230782**

თარიღი:**19/03/2023**

მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) შემუშავების პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“და „ე.ვ“ ქვეპუნქტებისა და ამავე კოდექსის 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე და 52-ე მუხლების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეიქმნას მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ვახტანგ გადელია - მუნიციპალიტეტის მერი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ლევან ელიავა - მერის მოადგილე, ჯგუფის წევრი;

გ) ნანა ზარანდია - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

დ) დონარა ალანია - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

ე) ეკატერინე კიზირია - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, უფროსის მ/შ, ჯგუფის წევრი;

ვ) თეა გრიგოლია - ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

ზ) ირაკლი საჯაია - სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

თ) მერაბ ჯანაშია - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ი) დალი ქაჩიბაია - ეკონომიკური განვითარების,სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის მდივანი;

კ) გვანცა მალანია - განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. ევროკავშირის ფართო მასშტაბიანი ინიციატივის „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისათვის“ მიერთების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნილმა სამუშაო ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს შეთანხმებით გათვალისწინებული მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) შემუშავებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და გეგმის შედგენა მოთხოვნით გათვალისწინებულ ვადებში; კლიმატის ცვლილების შემარბილებელი და საადაპტაციო ღონისძიებების დაგეგმვა, კლიმატგონივრული პროექტების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა, საზოგადოების ინფორმირების მიზნით მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების შესახებ საინფორმაციო კამპანიებისა და კვირეულების ორგანიზება, მასმედიის საშუალებებით საზოგადოების ინფორმირებულობა.

3. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი ქმნის და ოფიციალურად ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას, ანაწილებს ფუნქციებს ჯგუფის წევრებს შორის; ამტკიცებს სამუშაო გეგმას. იწვევს სამუშაო სხდომებს; გასცემს დავალებებს, განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებებს სასათბურე აირების შემცირების, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვისა და კლიმატის ცვლილების შემარბილებელი ღონისძიებების მქონე იდეებისა და პროექტების შერჩევასა და განხორციელებაზე; განიხილავს და რეაგირებას ახდენს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმით (SECAP) დაგეგმილი სამუშაოების მონიტორინგის შედეგებზე.

4. სამუშაო ჯგუფის მდივანი წარმოადგენს საკონტაქტო პირს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) შემუშავების საკითხებზე მერების შეთანხმება აღმოსავლეთით ფაზა III -ის ექსპერტებთან, ესწრება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (SECAP) შემუშავების მიზნით გამართულ ტრენინგებს და სხვადასხვა ღონისძიებებს, მოთხოვნისამებრ აწვდის ინფორმაციებს სამოქმედო გეგმის შედგენასთან დაკავშირებულ ინფორმაციებს, შეგროვილი მონაცემებით ადგენს SECAP -ის გეგმას და წარუდგენს ჯგუფის ხელმძღვანელს; სხვა წევრებთან ერთად ახორციელებს აღებული ვალდებულებების მონიტორინგს,საჭიროების შემთხვევაში შეაქვს კორექტირება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმაში.

5. სამუშაო ჯგუფის წევრები ასრულებენ ფუნქციებს მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის (მგსკ) განრიგის ვადების დაცვით.

6. სამუშაო ჯგუფის შეხვედრები გაიმართოს კვარტალში ერთხელ და საჭიროების შემთხვევაში.

7. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალურად გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში (მის.: სენაკი, შოთა რუსთაველის ქუჩა №247.).

ვახტანგ გადელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ. სენაკი, 4100, ი.ჭავჭავაძის.№103 ტელ.: (0 413) 27 75 47
ელ-ფოსტა: SENAKISMERIA@GMAIL.COM ვებ: WWW.SENAKI.GOV.GE